სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება, 12.09.2017

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ

ფაკულტეტის საბჭო მიიჩნევს, რომ შემოთავაზებული საკონკურსო კრიტერიუმები არ შეესაბამება უნივერსიტეტისა და ცალკეული დარგების განვითარების მიზნებსა და ამოცანებს.

მიგვაჩნია, რომ საკონკურსო კრიტერიუმები უნდა შეიმუშაოს ფაკულტეტზე შექმნილმა კომისიამ კონკრეტული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით. კომისია უნდა შეიქმნას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით და დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.